PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ რემიშვილი

წევრები:

იაზონ დანელია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **სსიპ**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) დირექტორის 2020 წლის 5 მარტის N 920 00276049 ბრძანების საფუძველზე 2020 წლის 12 მარტს განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ კოლეჯში ,,ახალი ტალღა“ დღის წესრიგის შესაბამისად (იხ. დანართი 1).

ვიზიტის მიზანი იყო პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2-ე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება.

ექსპერტებმა ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარდგენილი დოკუმენტაცია. ვიზიტის დროს მოხდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრება, გადამოწმდა ადამიანური რესურსის კვალიფიკაცია და წინარე შრომითი ხელშეკრულებები, მოხდა პროგრამის განხორციელების ადგილის დათვალიერება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება, მატერიალური და ადამიანური რესურსის გადამოწმება. ვიზიტი მიმდინარეობდა კომფორტულ და კონსტრუქციულ გარემოში.

პროგრამა **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** ხორციელდება ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქ.N154; პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს აუდიტორია N 306 კოლეჯის მე-2-ე კორპუსში და აუდიტორია N 302 კოლეჯის პირველ კორპუსში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა:

წინა ვიზიტის დროს (2019 წლის 12-13 მარტი) ექსპერტების მიერ გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია გაფორმდეს მემორანდუმი შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მიზნით „ფარმაციის“ მოდულური საგანმანთლებლო პროგრამისთვის.
2. ხელშეკრულებებში რეკომენდირებულია შეტანილ იქნას ცვლილება პროგრამის დასახელებაში ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად. ხელშეკრულების შინაარსში აუცილებლად უნდა დაზუსტდეს დეფინიცია ,,ხელშეკრულება“- ,,მემორანდუმი“;
3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „კონდიტერია“(რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში) ეფექტურად განხორციელებისთვის რეკომენდირებულია გაფორმდეს ხელშეკრულება სხვა კომპანიასთანაც;
4. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში პუნქტში „ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი“ უმჯობესია ჩაშლილი იყოს დეტალურად და არ იყოს მითითება სხვა მარეგულირებელ დოკუმენტაციაზე, როგორიცაა შინაგანაწესი, კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები და სხვა.

დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია 1-3, ხოლო მეოთხე რეკომენდაცია არ გაითვალისწინა. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით კოლეჯის ყველა თანამშრომელი ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს, რომელშიც გაწერილია „ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

VII. რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მე-4-ე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში / Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems აღნიშნული
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის ბრძანება პროგრამის დამტკიცების შესახებ 2018/124.13.08 N01-04/124; ცვლილება 2019.05.03. N01-04/35; ცვლილება 2020.02.03. N01-04/33;
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. N 154

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“;

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
"სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ მისიაა პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებით და თავსებადობით, მრავალპროფილური პროფესიული განათლებით წვლილი შევიტანოთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მიწოდებით. სოციალური ინკლუზიით, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობით უზრუნველყოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდა." "თქვენი წარმატება ჩვენი მისიაა!" დაწესებულების ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღია 23.09.2022.

კოლეჯის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება კოლეჯის მისიას, სტრატეგიული განვითარების 7 წლიან გეგმას და ერთწლიან სამოქმედო გეგმას; კოლეჯი გამოხატავს მზადყოფნას დაიმატოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც შექმნილია ჩარჩო დოკუმენტის „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ საფუძველზე. პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“-ს დამატების შესახებ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს:

- კოლეჯის რეესტრის მონაცემები;
- რეგიონულ დონეზე ჩატარებული კვლევის შედეგები - მოთხოვნილება როგორც სწავლის მსურველთა, ასევე დამსაქმებელთა მხრიდან;
- გადამზადების მსურველთა მზარდი რაოდენობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; 2020 წლის 2 მარტს შევიდა ცვლილება 2019 წლის 5 მარტს დამტკიცებულ პროგრამაში „კომპიუტერული ქსელისა და სისტემები“ და მის დანართებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების მიზნით.

პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელისა და სისტემები“ დაშვების წინაპირობაა **სრული ზოგადი განათლება**, ხოლო პროგრამისთვის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა **საბაზო განათლება;**

პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელისა და სისტემები“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. წინამდებარე მეთოდოლოგიის განსაზღვრის საფუძველია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულება და სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ახალი ტალღა“ დირექტორის 2018 წლის 10 აგვისტოს N 01-04/122 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება B - სასწავლო გარემო და ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულებისათვის.

დაწესებულებას „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროგრამის მიზნებისათვის აქვს B გარემო, სადაც განთავსებულია B - სასწავლო გარემოსთვის საჭირო ინვენტარი. ინტეგრირებული მოდულებისათვის მოწყობილია შესაბამისი ლაბორატორია. ორცვლიანი სწავლების გათვალისწინებით, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროგრამის რესურსი შეადგენს **30** პროფესიულ სტუდენტს ჯამში.

B გარემოში N309 სასწავლო საბორატორიაში არის **15** კომპიუტერი და მაგიდა სტუდენტებისთვის. ვიზიტის დროს აღნიშნულ პროგრამაზე ირიცხება **13** აქტიური პროფესიული სტუდენტი; ვიზიტის დროს კოლეჯში სტატუსშეჩერებული სტუდენტი არ არის.ექსპერტთა შეფასებით შესაძლებელია ორ ცვლაში **30** სტუდენტის მიღება.

ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა პროგრამა, მოდულები, სასწავლო გეგმები, პროგრამის განმახორციელებლები, ინვენტარი, აღჭურვილობა და სხვა, რის შედეგადაც გამოვლინდა შემდეგი გარემოებები: კოლეჯის დირექტორის მიერ 2019 წლის 16 იანვრის N01-04/05 ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურა“ , რაც არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების პროცედურებს. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

ბრძანებით, პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში მოხდა შესყიდვის აქტების ნახვა, აუდიტორიების დათვალიერება, საბიბლიოთეკო ფონდის შემოწმება, ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პირებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან და ლაბორატორიაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება; ექსპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამით „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

საგანმანათლებლო პროგრამას „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ არჩევითი მოდულები არ აქვს;

კოლეჯში არსებობს „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურა“, სადაც განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი - კოლეჯის დირექტორი;

ექსპერტთა შეფასებით პროგრამის სახელწოდება „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს: ჩარჩო დოკუმენტს „ინფორმაციის ტექნოლოგია“ და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს დამტკიცებული ბრძანებით №170/ნ „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია **N01-04/05 16.01.2019;**
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი **N 01-04/124 13.08.2018, N 01-04/35 05.03.2019, N01-04/33 02.03.2020;**
- დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი - „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურა" **N01-04/05 16.01.2019;**
- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს და არსებობის შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებების შესაძლებლობებს; **N 01-04/122 10.08.2018;**
- https://www.kpc.ge/mission.html;
- https://www.kpc.ge/pdf/gegmam.pdf;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

- https://www.kpc.ge/pdf/strategiuli_ganvitarebis_gegma.pdf;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამით „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა შესაძლებელია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; (იხ. ქვესტანდარტი **2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.)

პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამას ახორციელებს სულ **18** პირი, მათ შორის ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის წინარე ხელშეკრულებები გაფორმებულია **14** პირთან;

ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, ვიზიტის დროს მოხდა მათთან გასაუბრება, შესწავლილ იქნა პირადი საქმეები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და საკონკურსო მასალები; კოლეჯის დირექტორის ბრძანება საკონკურსო კომისიის შექმნის, საკვალიფიკაციო მოთხოვნის განსაზღვრის, კონკურსის ჩატარების პირობების და ვადების განსაზღვრის შესახებ. N 01-04/177 23.10.2019 N01-04/204 06.12.2019, საკონკურსო კომისსი სხდომის ოქმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამას „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის ინსტრუქცია, ინსტრუქცია გამოკრულია ბიბლიოთეკაში.ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად; ბიბლიოთეკაში მოწყობილია სამკითხველო დარბაზი, მომხმარებელს მოემსახურება კვალიფიციური ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერებით და უზრუნველყოფილია ინტერნეტის მიწოდება;

დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია ელექტრონული კატალოგი (OPAC), რაც საშუალებას აძლევს მომხმარებელს ნახონ თუ რა სახის ბიბლიოგრაფიული მონაცემებია ბიბლიოთეკაში. საგანმანათლებლო პროგრამაში „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით(დარგობრივი მოდულებისთვის), ინტეგრირებული მოდულებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში სახელმძღვანელოები არის მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები; დაწესებულების მიერ შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დოკუმენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

მოდულის ფარგლებში იმისთვის, რომ არგუმენტირებულად განისაზღვროს და დოკუმენტურად განისაზღვროს სტუდენტის მიერ პედაგოგის მხარდაჭერით მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის პროცესი.

ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელების მდგრადობა. პროგრამა ხორციელდება სახელმწიფოს დაფინანსებით, ექსპერტების მიერ მოხდა პროგრამის ბიუჯეტის შესწავლა და დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრება. პროგრამის ბიუჯეტის თანახმად პროგრამის რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია მინიმუმ 13 პროფესიული სტუდენტით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“;
- შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების ფაქტობრივი გარემოება;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსის ფაქტობრივი გარემოება;
- http://biblio.kpc.ge/opac/index.php;
- „ სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურებით“ N01-04/35 20.03.2018;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და დაწესებულების წარმომადგნლებთან ინტერვიუს შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 2019 წლის 16 იანვრის N01-04/06 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც მოიცავს სისტემურობას და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას -„დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 2019 წლის 16 იანვრის N01-04/05 ბრძანებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

დამტკიცებული „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურა“ რომელიც ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანას, ასევე „პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას“, შესაბამისი ბაზრის კვლევის ან სხვა საჭიროებიდან გამომდინარე. პროგრამის შეფასების მექანიზმი ასევე ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. ამ მიზნით შემუშავებული კითხვარების საშუალებით ხორციელდება პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა. გამოკითხვების შედეგად მიღებული შედეგების ანალიზი იძლევა საშუალებას გაუმჯობესდეს და განვითარდეს საგანმანათლებლო პროგრამები.

2019 წლის განმავლობაში დაწესებულების წარმომადგენლების (ხარისხის მენეჯერი და სასწავლო პროცესის მენეჯერი) მიერ ჩატარებულია პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შეფასება, მოხდა შეფასების პროცესზე დაკვირვება დაკვირვების ფურცლის მიხედვით, საკონტაქტო საათზე დასწრება დასწრების კითხვარის მიხედვით, სტუდენტის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების შეფასება შეფასების კითხვარის მიხედვით. დაწესებულების მიერ მოხდა შეფასების შედეგების გაანალიზება, რასაც დაწესებულება გამოიყენებს პროგრამის გაუმჯობესებისთვის. საჭიროების შემთხვევაში პსდ ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

31.07.2017 N 01-04/97 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციებით“ განსაზღვრულია ვერიფიკაციის პროცედურები. შიდა ვერიფიკაციას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

ახორციელებს შიდა ვერიფიკატორი, რომელიც შესაძლოა იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, ან იმავე პროგრამის სხვა მოდულის მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა. ხარისხის მართვის სპეციალისტის მიერ ვერიფიკაციის დროს ხდება შეფასების ინსტრუმენტის შეფასება.

პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის შიდა მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში წესების შესაბამისად.

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე. აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი დოკუმენტია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი. დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის მიზნით არსებობს ხარისხის მართვის მენეჯერის, ხარისხის მართვის სპეციალისტების საშტატო ერთეულები, ასევე შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის შიდა მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის ჯგუფები. შიდა მხარდაჭერისა ჯგუფს ხელმძღვანელობს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხოლო მონიტორინგის ჯგუფს - დირექტორის მოადგილე. შიდა მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის ჯგუფი თავის მუშაობას ახორციელებს დამტკიცებული რეგულაციის შესაბამისად. პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობების და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე.პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ზემოთ მოყვანილი სამუშაო ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად და განვითარებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2019 წლის 16 იანვრის N01-04/06 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“,
- 2019 წლის 16 იანვრის N01-04/05 ბრძანებით დამტკიცებული „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურა“
- 31.07.2017 N 01-04/97 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციებით“
- პსდ-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები;
- შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშები;
- დაწესებულების წარმომადგენელთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად: პროგრამის სასწავლო გეგმის და საათების განაწილების ტარიფიკაციის შესაბამისად შემუშავებულია გაკვეთილების განრიგი -ცხრილი.

პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს კოლეჯში დირექტორის 15.10.2019 წლის N01-04/171 ბრძანებით დამტკიცებული „კალენდარული გეგმის“ ფორმის შესაბამისად. კოლეჯში სწავლა მიმდინარეობს ორ ცვლაში.

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროგრამა აღჭურვილი ყველა იმ მატერიალური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით და ინტეგრირებული მოდულებით. პროგრამის მასწავლებლებს სისტემატიურად უტარდებათ ტრენინგები, სწავლებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

შეფასების საკითხებზე, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, ასევე კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლის მიერ. ინტეგრირებული მოდულების მასწავლებელთა გადამზადება ხორციელდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი პროექტის "საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლების მოდერნიზაცია, ფაზა II" ფარგლებში.

კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლები ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. რაშიც ეხმარებათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი ,,სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“. საჭიროების შემთხვევაში იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის.

პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება კოლეჯის შესაბამის ლაბორატორიაში. პრაქტიკის განხორციელებისთვის კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, შპს „ბლექსი რიზორტსთან“ (ს/კ 405046542) 30.07/2018 წ.

კოლეჯში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ინტეგრირებული მოდულებისთვის გამოყოფილია ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და დაცულია უსაფრთხოების ნორმები.

კოლეჯს ჰყავს უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც პერიოდულად უტარებს პროფესიულ სტუდენტებს ინსტრუქტაჟს უსაფრთხოების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ;
- სასწავლო და კალენდარული გეგმები;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებასთან (შპს „ბლექსი რიზორტსთან“ (ს/კ 405046542) 30.07/2018 წ.)გაფორმებული მემორანდუმი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი;
- შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი და ფაქტობრივი მდგომარეობა;
- დაწესებულების წარმომადგენელთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ სტუდენტთა შეფასება ხორციელდება დირექტორის 2017 წლის 31 ივლისის N 01-04/97 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციების“ მიხედვით. კოლეჯში დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომლის მიხედვითაც ხდება ინსტრუმენტის შემუშავება. დამატებით კოლეჯში მოქმედებს პროფესიული სტუდენტების, კოლეჯის თანამშრომლების მიერ შემოსული საჩივრების/პრეტენზიების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია (31.07.2017 წლის ბრძ 01-04/94), რომელიც განიხილავს შემოსულ საჩივრებს, **მ. შ. შეფასებასთან** დაკავშირებით.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს შიდა ვერიფიკატორი, რომელიც შესაძლოა იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, ან იმავე პროგრამის სხვა მოდულის მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა. შიდა ვერიფიკატორი პირველ ეტაპზე ადასტურებს „მოდულის შეფასების ინსტრუმენტში“ ასახული სწავლის შედეგების, მოცემული დავალებისა და სცენარის,შესრულების კრიტერიუმებისა და დავალების შეფასების კრიტერიუმების, როგორც ერთმანეთთან თავსებადობა-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

შესაბამისობას, ასევე სწავლის შედეგების შესრულების მტკიცებულებების შესაბამისობას შერჩეულ შეფასების ინსტრუმენტთან. შიდა ვერიფიკაციის პირველ ეტაპზე ვერიფიკატორს პროფესიულ მასწავლებელთან უკუკავშირის საშუალებით საჭიროების შემთხვევაში შეაქვს შესაბამისი ცვლილება „მოდულის შეფასების ინსტრუმენტში". მეორე ეტაპზე (მოდულის დასრულებიდან არაუმეტეს ერთ კვირაში) შიდა ვერიფიკატორი ამოწმებს შეგროვებული მტკიცებულებების ავთენტიკურობასა და კომპეტენციების დადასტურებისათვის საკმარისობას და შემოწმების შედეგების ანგარიშს წარმოადგენს დასკვნის სახით.

კოლეჯის დირექტორის შესაბამისი აქტის საფუძველზე დამტკიცებული „სტუდენტების შეფასების მტკიცებულებების შენახვის ვადებისა და შენახვაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის წესის" მიხედვით კოლეჯში ხორციელდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვა და შენახვა, შემდეგი პროცედურების დაცვით: მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი ინახავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს მოდულის დასრულებამდე. შეფასების უწყისს წარადგენს სასწავლო პროცესის სპეციალისტთან მოდულის დასრულებიდან 1 დღის ვადაში, რის საფუძველზეც სასწავლო პროცესის სპეციალისტი სწავლის შედეგების შეფასების უწყისის მონაცემებს ასახავს უწყისების

აღრიცხვის ჟურნალში. პროგრამის ხელმძღვანელი (ან/და კონკრეტული ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი ბრძანებით) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლისგან შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე ჩაიბარებს თითოეული პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს, მოდულის დასრულებიდან 5 დღის ვადაში; ხოლო, როდესაც კონკრეტული მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა მოდულის დასრულებიდან ერთი დღის ვადაში; პროგრამის დასრულების შემდეგვ სასწავლო პროცესის სპეციალისტი და პროგრამის ხელმძღვანელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

საკვალიფიკაციო კომისიას წარუდგენს ყველა პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისსა და მტკიცებულებებს, რის საფუძველზეც კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას კვალიფიკაციის მინიჭება/არმინიჭების შესახებ. საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის შემდეგ შეფასების უწყისები და მტკიცებულებები ჩაბარდეს სასწავლო პროცესის სპეციალისტს, რომელიც შესაბამისიაქტის საფუძველზე გადასცემს არქივს. არქივი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; მტკიცებულებების პროფესიულ სტუდენტზე გადაცემა ან განადგურება უნდა განხორციელდეს შესაბამისი აქტის საფუძველზე. აქტის შენახვის ვადა განისაზღვროს მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს ერთი წლისა. პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის შენახვის ვადა კოლეჯში განისაზღვროს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად საარქივო დაწესებულებაზე გადაცემამდე ან მუდმივად სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2017 წლის 31 ივლისის N 01-04/97 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციები“
- კოლეჯის ვებგვერდი https://www.kpc.ge/acts.html.
- დირექტორის 11.12.2017 წლის N01-04/188 ბრძანებით დამტკიცებული „მოდულური საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში მიღწეული სწავლის შედეგების გასაჩივრების ვადების დადგენასთან დაკავშირებით, შეფასების შიდა ვერიფიკაციის შედეგები;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები და მტკიცებულებები უწყისები, საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმები, ბრძანებები კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.;
- დირექტორის 11.12.2017 წლის N01- 04/188 ბრძანებით დამტკიცებული „მოდულური საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში მიღწეული სწავლის შედეგების გასაჩივრების ვადების დადგენასთან დაკავშირებით;
- მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

ვიზიტის დღის წესრიგი ცენტრში წარმოდგენილია დასკვნის პროექტთან ერთად.

31.03.2020
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---